თბილისი _ ქუთაისი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (ქუთაისი) 2:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, კუტივაძე, გიორგაძე (იამანიძე), ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, დათუნაშვილი.

“ტორპედო”: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, ზარია (ჭითანავა), ილიადი, ერქომაიშვილი, ვეკუა, ხუციშვილი, ასიტაშვილი.

“დინამო”

გათამაშების ერთ-ერთი ლიდერისა და მასთან ერთად საპრიზო ადგილის რეალური პრეტენდენტის როლი თბილისის “დინამოს” არ უტოვებს არავითარ შანსს კომპრომისისთვის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც დინამოელებმა თავიანთ თავს მისცეს ისეთი “ფუფუნების” საშუალება, როგორიც იყო წმინდად წაგებული მეორე ტაიმი მინსკის თანაკლუბელებთან _ დაკარგული ქულა, რომელმაც შეიძლება ბევრი რამ გადაწყვიტოს ჩემპიონატის ფინიშზე.

და, მიუხედავად ამისა, თბილისელებმა მეტისმეტი სიმშვიდით, ზედმეტი აკადემიურობით დაიწყეს თამაში. მართალია, ანგარიში სულ მალე გაიხსნა (მე-7 წ.), მაგრამ ეს გოლი არ შეესატყვისებოდა მინდორზე გამართული ბრძოლის სურათს ამ ეტაპზე. მოხდა ასე: ტორპედოელთა სტოპერები წამით დაიბნენ, გიორგაძესთან ბრძოლისას დაკარგეს ბურთი, რომელიც ამ უკანასკნელმა მაშინვე გადასცა ფლანგზე გადასულ ნოდიას. კვასხვაძე საკმაოდ ფლეგმატურად იდგა კარში და ნოდიას დარტყმა თითქოს მას არც კი ეხებოდა _ 1:0.

საერთოდ, პირველი ტაიმი დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა, “ტორპედოს” კართან არ შექმნილა ბევრი სახიფათო მომენტი.

შესვენების შემდეგ თბილისელთა დაცვას და მეკარეს საგრძნობი დატვირთვა დააწვათ, რამდენიმეჯერ კარი გოლის აშკარა საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. მაგრამ, როცა 63-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან წამოწყებული შეტევა ნოდიას მიერ გატანილი მეორე გოლით დამთავრდა, მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო.

“ტორპედო”

ქუთაისელ ფეხბურთელთა გამოსვლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს თბილისელ მაყურებლებში. ტორპედოელებს მუდამ ჰყავთ ახალი საინტერესო მოთამაშეები, მათი მოქმედების ცოცხალ, მახვილგონივრულ მანერას მუდამ დაძაბულობაში ჰყავს ტრიბუნები.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ტორპედოელებმა შესვენებამდე სულ ტყუილად გამოიჩინეს გადამეტებული სიფრთხილე, როცა მათ საშუალებას ჰქონდათ მეტი სითამამით და ჩვეული სიმწვავით წარემართათ იერიშები. 2 თავდამსხმელით თამაში გულისხმობს ნახევარდაცვის ვრცელ და აქტიურ მანევრს წინა ხაზზე, შეტევის საერთო რიტმისა და მიმართულების ხშირ ცვლას. ეს კი აშკარად აკლდა გუნდს.

გაცილებით უკეთესად ითამაშეს ქუთაისელებმა მეორე ტაიმში. ზარიას ნაცვლად გამოსულმა ჭითანავამ სწორედ ის აზარტი, გაბედულება და გოლის გატანის ჟინი შეიტანა პარტნიორებში, რომელსაც მანამდე ვერ ვხედავდით. ვეკუა-ხუციშვილის წყვილთან ერთად ჭითანავა ძალიან სწრაფად მოქმედ, ეფექტურ ძალას ქმნის, შუა მინდორში კი 3 ნახევარმცველის _ ასიტაშვილის, ილიადისა და ერქომაიშვილის თამაში საიმედო გარანტიას წარმოადგენს როგორც დაცვის, ისე შეტევის წარმოებისთვის.

დაბოლოს, მცველთა შესახებ. ქუთაისის “ტორპედოს” დაცვის თამაშში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ხარვეზები. იგი ჩამორჩება სისწრაფეში, მეტოქის მანევრის გამოცნობაში, პერსონალური დარაჯობისას კი ზოგჯერ ირღვევა ზონური დაცვის პრინციპი.

საერთოდ კი, ისე, როგორც ქუთაისელებმა ითამაშეს მეორე ტაიმში, გუნდი ბევრ გამოცდილ ძლიერ მეტოქეს გაუმკლავდება ღირსეულად.

“ლელო”, 16 აგვისტო, 1967 წ.